# ხელი

„ხელი მიეც შენს მოძმეს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ“. ილია

№2, ივნისი, 2014


## დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გურიაში




22-29 აპრილს სამოქალაქო კლუბებმა გურიიდან დედამიწის დღისადმი მიძღვნილილი კვირეული მოაწყვეს. კვირეულის ფარგლებში სკოლებში სხვადასხვა სახის აქტივობები ჩატარდა. ჩიბათის საჯარო სკოლაში ჩატარდა საინფორმაციო კამპანია, მოსწავლეებმა მოაწყვეს კონფერენცია და მოიწვიეს სტუმარი, ასევე დარგეს ნერგები, მოსახლეობაში გაავრცელეს სკოლის სათბურში გამოყვანილი კედარის ნერგები. ლესისა და ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრმა მოსწავლეებმა დაასუფთავეს და ახალი ნარგავებით გაალამაზეს სკოლის ტერიტორია. აცანის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა მეწყერსაშიშ ზონებში ახალი ნარგავები დარგეს. შუხუთის სამოქალაქო კლუბმა ,,ლელომ'' დედამიწის დღესთან დაკავშირებით სოფლის გზები და სკოლის მიმდებარე ტერიტორიები დაასუფთავა. ასევე მოსახლეობასთან საინფორმაციო კამპანია აწარმოა იმის შესახებ, თუ რა საფრთხეების წინაშე დგას დედამიწა, რა არის გამოსვალი და როგორ უნდა გავუფრთხილდეთ დედამიწის რესურსებს. ნიგვზიანის სამოქალაქო კლუბის წევრებმა სოფლად არსებული გაჩეხილი ქარსაფარი ზოლის აღდგენის ინიციატივით ადგილობრივ თვითმმართველობას მიმართეს. სოფლის თვითმართველობამ მოსწავლეებს სამუშაო იარაღები, ცაცხვისა და ჭადარის ნერგები გამოუყო. კლუბის წევრებმა ნარგავები 25 აპრილს დარგეს წინასწარ შერჩეულ ადგილებში. სუფსის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბმა «მომავლის ახალგაზრდები» დედამიწის დღე საგაზაფხულო სამუშაოებით აღნიშნა. დედამიწის დღეს ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული გაკვეთილი და დასუფთავების აქცია მოეწყო. ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების გაკვეთილების შერწყმა მეტად საინტერესო ფორმით განახორცელეს სკოლის ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებმა. მინილექციას ეკოლოგიაზე მოჰყვა ადამიანის მოვალეობები დედამიწის წინაშე. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებმა დაასუფთავეს სკოლის ტერიტორია. ,,დედამიწას მოვლა სჭირდება“ - ასეთი სახელწოდების აქციით გამოეხმაურა ჩოჩხათის სამოქალაქო კლუბი კვირეულს. კვირეულის ფარგლებში მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია ,,დედამიწა ჩვენს ხელთაა“, რომელიც მიზნად ისახავდა იმ საფრთხეების გაცნობიერებას, რაც დედამიწას ემუქრება. მოსწავლეებმა გამოიჩინეს ინიციატივა, დაასუფთავეს სკოლის ეზო და თავისუფალ ტერიტორიაზე დარგეს ნერგები, დაგეგმეს და წარმოადგინეს შემეცნებითი ღონისძიება, მოამზადეს ფოტო-სტენდი. ნატანების საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა სკოლის თვითმართველობასთან ერთად გაამწვანეს სკოლის ეზო. ამაღლების საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა სკოლაში ჩაატარეს კონკურსი ეკოლოგიის თემაზე, მოამზადეს ნაშრომები, ასევე დაასუფთავეს სკოლის ეზო და დარგეს ნარგავები.




## სუფსის სამოქალაქო კლუბის ინიციატივით მოსწავლეებს უფასო სამედიცინო კვლევა ჩაუტარდათ

6 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის სამოქალაქო კლუბის წევრების ინიციატივით მოსწავლეებს უფასო სტომატოლოგიური კვლევა ჩაუტარდათ. სამოქალაქო კლუბმა ინიციატივის ფარგლებში ითანამშრომა კლინიკა ,,ცედექს“-თან, რომელმაც ექიმი სტომატოლოგი გამოყო მოსწავლეების გამოსაკვლევად.

,,აღნიშნული ინიციატივის განხორციელება სკოლაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე გადაწყვიტეთ. ჩვენ შევისწავლეთ სკოლის გაცდენის მიზეზები და აღმოჩნდა, რომ გაცდენათა 2/3 შემთხვევაში მიზეზი ჯანმრთელობის პრობლემაა. სამწუხაროდ ყველას არ აქვს საშუალება, ჩაიტაროს რეგულარული გამოკვლევა. ამან გვაფიქრებინა, ექიმი სკოლაში მოგვეწვია და მოსწავლეებისთვის გამოკვლევა უსასყიდლოდ ჩაგვეტარებინა. კლუბის სახელით მივმართეთ ქ. თბილისში მოქმედ სტომატოლოგიურ კლინიკას ,,ცედექსი“, სადაც ექიმ-სტომატოლოგად ჩვენი სკოლის ყოფილი მოსწავლე ნატა ჯიჯიეშვილი მუშაობს, გაეთავისუფლებინათ ექიმი ერთი დღით მოსწავლეების გამოსაკვლევად. შეთანხმება შედგა და მოსწავლეებს კვალიფიციური გამოკვლევა ჩაუტარდათ. აღნიშნული გამოკვლევის საფუძველზე მოსწავლეებს გავუხსენით სამედიცინო ანკეტები, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა მათი ჯანმრთელობის ზოგადი მდგომარეობის, ჰიგიენური ნორმებისა და სოციალური პირობების შესახებ“-აღნიშნა კლუბის მეურვე პედაგოგმა, ნანა კალანდიამ.



კლუბმა ასევე მიმართა სოფლის ამბულატორიას, რომელმაც გამოყო ექთანი მოსწავლეთა სამედიცინო ანკეტების გახსნისა და ექიმის მიერ დასმული დიაგნოზის გაფორმებისთვის. გამოკვლევა სუფსის საჯარო სკოლის 60-ზე მეტ მოსწავლეს ჩაუტარდა.

# სესია თემაზე ,,სისხლით გადამდები დაავადებები და დეზინფექციის ნორმები“



4 აპრილს ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის ორგანიზებით გაიმართა სესია თემაზე ,,სისხლით გადამდები დაავადებები და დეზინფექციის ნორმები“, რომელსაც ოზურგეთში მოქმედი სტომატოლოგიური კაბინეტების და სალონების წარმომადგენლები დაესწრნენ.

შეხვედრის მიზანი სისხლით გადამდები ინფექციების, ასევე სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სტერილიზაციის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ სტომატოლოგების, სალონების პერსონალის ინფორმირება იყო. სესიას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრის რეგიონალური განყოფილების თანამშრომელი ნონა კვაჭანტირაძე გაუძღვა და ისაუბრა შემდეგ საკითხებზე: სისხლით გადამდები პათოგენები, დეზინფექციის მეთოდები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები სტომატოლოგიურ კაბინეტებში/სალონებში, სამართლებრივი რეგულაციები სტომატოლოგიური კაბინეტებისთვის. შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო აზრთა გაზიარებას, დეზინფექციისა და სანიტარულ/ჰიგიენური ნორმების კუთხით სტომატოლოგიურ კაბინეტებში/სალონებში არსებული მდგომარეობის შეფასებას. ისაუბრეს გამოსავალზეც. დამსწრე აუდიტორიამ აღნიშნა, რომ აუცილებელია როგორც მომწოდებლის, ისე მომხმარებლის ინფორმირების დონის ამაღლება, კონტროლის მექანიზმის დაწესება და მკაცრი რეგულაციების შემუშავება სახელმწიფოს მხრიდან, ასევე სტერილიზაციის ნორმების რეგულარული მონიტორინგი.

სამოქალაქო კლუბის წევრმა მოსწავლეებმა მომხმარებელთა ინფორმირების დონის ამაღლების მიზნით მოამზადეს და თემში გაავრცელეს საინფორმაციო ბროშურები. ასევე ჩამოყალიბდა სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფი საზოგადოების სხვადასხვა წევრების მონაწილეობით.

შეხვედრას დაესწრო სტომატოლოგიური კაბინეტებისა და სალონების წარმომადგენლები, მოსწავლეები, ადგილობრივი მედიასაშუალებები.

შეხვედრა მოეწყო სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ახალგაზრდულ ფორუმზე მომზადებული პროექტის ,,სისხლით გადამდები ინფექციების პრევენცია“ ფარგლებში. პროექტის მიზანია სამოქალაქო მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბება საზოგადოების სხვადასხვა წევრების მონაწილეობით და საზოგადოების ინფორმირება იმ საფრთხეების შესახებ, რაც არასტერილური იარაღების გამოყენებას შეიძლება მოჰყვეს.

# წარმატებული თანამშრომლობა



ბახვის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა მცირე საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის ,,სამოქალაქო კლუბის მდგრადობისთვის“ ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან წარმატებით ითანამშრომლა. მოსწავლეებმა პროექტი სკოლის საკუთრებაში არსებული ნაკვეთის შემოღობვის, კეთილმოწყობისა და მასზე შემოსავლიანი კულტურის, თხილის გაშენების მიზნით მოამზადეს. პროექტის მსვლელობისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლეებისა და სკოლის რესურსით ნაკვეთის სრულყოფილად დამუშავება და ნიადაგის მომზადება ნერგების დასარგავად ვერ ხერხდებოდა. კლუბმა აღნიშნული პრობლემა ერთ-ერთ შეხვედრაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს გააცნეს და ნაკვეთის დამუშავებაში დახმარება სთხოვეს. მოსწავლეების თხოვნის საფუძველზე გამგეობამ გამოყო თანხა, რომელიც სპეციალური ტექნიკით ნაკვეთის ქვა-ღორღისაგან და ეკალ-ბარდისაგან გაწმენდას, დახვნას და ნიადაგის დამუშავებას მოხმარდა. სულ დამუშავდა 4500 კვ.მ. ფართობი. მცირე გრანტით მიღებული თანხით ნაკვეთი შემოიღობა.

,,პროექტის განხორციელებიდან რამდენიმე წლის შემდეგ სამოქალაქო კლუბს ექნება სტაბილური და მუდმივი შემოსავალი ნაკვეთზე გაშენებული თხილის ბაღიდან, რაც გარანტიაა კლუბის სიცოცხლისუნარიანობისა და მდგრადობისა“ - აღნიშნა კლუბის მეურვე პედაგოგმა ხათუნა ბარამიძემ.

პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა აწარმოეს საინფორმაციო კამპანია მხარდამჭერების მოსაძიებლად, მონაწილეობა მიიღეს ნაკვეთის გაწმენდისა და შემოღობვით საქმიანობებში, ადგილობრივ მოსახლეობაში უსასყიდლოდ მოიპოვეს და დარგეს თხილის 300-მდე ნერგი, ასევე დაესწრნენ ტრენინგს და მიიღეს ინფორმაცია ნერგების მოვლა-გახარების საკითხებზე.

# გურიის სამოქალაქო განათლების პედაგოგები ქრომოსომებს არ ითვლიან

21 მარტს სამოქალაქო განათლების კლუბის ,,კოლაჟის’’ მეურვე პედაგოგის, ვლადიმერ აფხაზავას ინიციატივით დაუნის სინდრომით დაავადებულთა მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. მოეწყო ფოტოსესია გურიის რეგიონის სამოქალაქო განათლების პედაგოგების, სკოლის დირექტორებისა და სამოქალაქო განათლების პროგრამაში ჩართული თანამშრომლების მონაწილეობით. ფოტოები გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით. ამავე დღეს მოეწყო საინფორმაციო კამპანია და მოსწავლეებს მიეწოდა ინფორმაცია აღნიშნული დაავადების შესახებ.



# ერთობლივი ძალისხმევით



მცირე გრანტის თანხა ოთახის გარემონტებას და საოფისე ინვენტარის შეძენას მოხმარდა.

შრომის საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბმა მცირე საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტის ,,ტყე შეუნახე შვილებსა“ განხორციელებაში ადგილობრივი თემი ჩართო. პროექტის მიზანი კლუბის ოთახის კეთილმოწყობა და სოფელ შრომაში ქარსაცავი ზოლის გამწვანება იყო. მიზნის მისაღწევად მოსწავლეებმა ითანამშრომლეს სკოლის დირექციასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან.

სოფო ხომერიკი, სოფელ შრომის სამოქალაქო კლუბის ლიდერი მოსწავლე: ,,თავიდან პროექტის განხორციელება ადვილად წარმოგვედგინა, თუმცა ბევრი ისეთი პრობლემა წარმოიშვა, რომლის მოგვარებაც მოსწავლეებმა დამოუკიდებლად ვერ შევძელით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ თანამშრომლობა სხვადასხვა მხარესთან: სკოლის დირექციასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მოსახლეობასთან. მათგან დიდი მხარდაჭერა ვიგრძენით, სკოლის დირექტორი ოთახის რემონტისთვის საჭირო მასალით და ნერგების ტრანსპორტირებით დაგვეხმარა, მოსახლეობა, მშობლები, ახალგაზრდები აქტიურად გვეხმარებოდნენ ოთახის გარემონტებაში, ნერგებიც უსასყიდლოდ მოვიპოვეთ თემში, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კონსულტაციები გაგვიწია და იმ ადგილების გამოვლენაში დაგვეხმარა, სადაც ქარსაცავი ზოლი ყველაზე მეტად იყო გაჩეხილი. ხეებს როცა ვრგავდით, უფროსი თაობის ადამიანები მოდიოდნენ და აღტაცებას ვერ მალავდნენ, გარდა სიტყვიერი თანადგომისა, დარგვაშიც გვეხმარებოდნენ და საკვებიც მოჰქონდათ ჩვენთვის“.

გამწვანების აქციები შრომის თემში პირველი მარტიდან დაიწყო და თვის ბოლომდე გასტანა. აქციის ფარგლებში მოსწავლეებმა ადგილობრივი მოსახლეობის, ხელისუფლებისა და სკოლის პედაგოგების დახმარებით 350-მდე ძირი ნაძვი, კაკალი და წყავი დარგეს თემში წინასწარ შერჩეულ ხუთ უბანში. გამწვანებით საქმიანობაში ჩაერთო 60-მდე მოსწავლე და ადგილობრივი თემის წარმომადგენელი.

# წარმატებული სტაჟირება



ჩიბათის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლე თორნიკე სულაბერიძე დღეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის ,,ლანჩხუთი ჴლუს“-ის შტატგარეშე ჟურნალისტია. ის თავისი სოფლის, ჩიბათის შესახებ აწვდის ინფორმაციას რედაქციას და ძირითადად სათემო პრობლემებს აშუქებს. თორნიკემ უკვე გამოაქვეყნა ხუთი სტატია ,,ლანჩხუთი ჴლუს“-ში.

გაზეთთან თორნიკეს თანამშრომლობა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში დაიწყო. მისმა სტატიებმა გაზეთის რედაქტორის, ქეთევან ნაკაშიძის მოწონება დაიმსახურა და სტაჟიორს შესთავაზა მუშაობა გაეგრძელებინა და გაზეთისთვის მისი სოფლის, ჩიბათის შესახებ ინფორმაციებით მიეწოდებინა.

ქეთევან ნაკაშიძე, გაზეთ ,,ლანჩხუთი ჴლუს“-ის რედაქტორი: ,,თორნიკე გონებანათელი, ნაკითხი ადამიანია, გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. მან სტაჟირების პერიოდში მოამზადა ინტერვიუ სოფელ ჩიბათის რწმუნებულთან, ასევე მოიძია ინფორმაციები სოფლის საჭიროებების შესახებ. სტაჟირების დასრულების შემდეგ თორნიკეს თანამშრომლობის გაგრძელება და თავისი სოფლის შესახებ სტატიების მომზადება შევთავაზე“.

,,გაზეთთან ჩემი თანამშრომლობა სტაჟირების პროგრამით დაიწყო. ჟურნალისტურმა საქმიანობამ ძალიან დამაინტერესა. გაზეთს კორესპონდენტი სოფელ ჩიბათიდან არ ჰყავს და გამიხარდება, თუკი სოფლის შესახებ ინფორმაციის მიმტანი მე ვიქნები“ - აღნიშნა თორნიკემ.

გარდა ამისა, სტატიების მომზადების დროს თორნიკე ადვოკატირების პროცესში ჩაერთო.

,,ჟურნალისტს შეუძლია უამრავ თემაზე იმუშავოს, მაგრამ მე ჩემი სოფლის საჭიროებების შესახებ გადავწყვიტე მასალების მომზადება - აღნიშნავს თორნიკე - მოვამზადე წერილების სერია სოფლის დღევანდელობაზე. მინდა განსაკუთრებით გამოვყო ინტერვიუ სოფელ ჩიბათის რწმუნებულთან, ალეკო კუკულაძესთან. სტატიის ძირითადი თემა სოფლის ბიუჯეტი და დაგეგმილი პროექტები იყო. შეხვედრისას ვისარგებლე და რწმუნებულს მეც გავაცანი რამდენიმე პროექტი ბიუჯეტში გასათვალისწინებლად, რომელიც სასკოლო სამოქალაქო კლუბის გამოკითხვებს ეფუძვნებოდა. სტატიის გამოქვეყნებას შედეგიც მოყვა - უკვე დაიწყო პრობლემათა ნაწილის მოგვარება“.

სტაჟირების პროგრამა ასევე კარგი შესაძლებლობა აღმოჩნდა ადვოკატირების პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.

# შეხვედრა ფოტო ხელოვანებთან

10 აპრილს გურიის ახალგაზრდულ რესურსცენტრში შეხვედრა მოეწო ცნობილ ფოტოხელოვანებთან გურამ წიბახაშვილთან და თინათინ კილურაძესთან. შეხვედრის თემა იყო ,,თანამედროვე ქართული ფოტოგრაფია“. სტუმრებმა ისაუბრეს ფოტოგრაფიის დანიშნულებაზე, ასევე თანამედროვე ქართველი ფოტოგრაფების შემოქმედებაზე, ფოტონამუშევრის შეფასების კრიტერიუმზე, განიხილეს კონკრეტული ნამუშევრები, მათი სტილი და ფოტოხელოვანის ხედვა. შეხვედრაზევე სამოქალაქო კლუბის წევრმა მოსწავლეებმა საინტერესო ინიციატივა დაგეგმეს ფოტოგრაფიის გზით ადვოკატირების წარმოების შესახებ.

,,შეხვდრაზე ყოფნისას მოსწავლეებმა ინიციატივა დავგეგმეთ, რომელიც ფოტოების საშუალებით ადვოკატირების კამპანიის წარმოებას გულისხმობს. ჩვენმა სამოქალაქო კლუბებმა ადვოკატირება ადრეც აწარმოეს, მაგრამ ნახატების გზით. ახლა გადავწყვიტეთ, ფოტოები გადავიღოთ, პრობლემა ავსახოთ, მოვიწვიოთ გადაწყვეტილების მიმღები პირები და ვაწარმოოთ პრობლემების ადვოკატირება. სტუმრებმა მოგვცეს რჩევები, თუ როგორ გადავიღოთ სურათი ადვოკატირებისთვის ისე, რომ ეფექტურად მოხდეს პრობლემის წარმოჩენა“- აღნიშნა ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრმა მოსწავლემ, ლიკა ჭანუყვაძემ.




შეხვედრას დაესწრნენ მოსწავლეები გურიის სამოქალაქო კლუბებიდან, ასევე ოზურგეთის სურათების გალერიიდან და საქართველოს კულტურის ფონდიდან, სულ 40-მდე ადამიანი.

# პედაგოგთა ფორუმზე წლის პედაგოგები დასახელდნენ

2014 წლის 3 მაისს თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში”, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმის წლიური კონფერენცია-გამოფენა ჩატარდა. ფორუმის მონაწილეები იყვნენ საქართველოს ყველა რეგიონის 350 პედაგოგი და მოწვეული სტუმრები, რომლებიც გაეცნენ სამოქალაქო განათლების სფეროს სიახლეებსა და ინოვაციებს, მიიღეს ინფორმაცია პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შესახებ.

კონფერენციის დასასრულს წლის საუკეთესო სამოქალაქო განათლების პედაგოგთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. გურიის რეგიონიდან ,,სამოქალაქო განათლების წლის საუკეთესო პედაგოგად“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსის საჯარო სკოლის პედაგოგი ნანა კალანდია დასახელდა, წარმატებული სამოქალაქო განათლების პედაგოგის ტიტული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურის პედაგოგმა ცაცა ქვილორიამ მოიპოვა, ხოლო სასკოლო სამოქალაქო კლუბის საუკეთესო მეურვე პედაგოგის - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვის საჯარო სკოლის პედაგოგმა ხათუნა ბარამიძემ. გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ულოცავს გამარჯვებულებს და უსურვებს წარმატებებს.



## თანამშრომლობა პროექტის ფარგლებში



პროექტის ,,შეზღუდვები არ არსებობს“ ფარგლებში ადგილობრივ ბიზნესსექტორთან წარმატებული თანამშრომლობა შედგა. სამოქალაქო კლუბის მიმართვის შედეგად შპს ,,გზამშენი 18“-მა ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის შესასვლელთან ეტლით გადასაადგილებელი ბილიკი მოაწყო უსასყიდლოდ.

მარიამ არეშიძე, კლუბ ,,თემიდას“ მეურვე პედაგოგი: პროექტის ფარგლებში პანდუსის მოწყობა ისედაც გათვალისწინებული გვქონდა, თუმცა ჩვენი ძალებით ასეთი მოცულობის და ხარისხის არ იქნებოდა. ჩვენდა სასიხარულოდ, კლუბთან ითანამშრომლა ადგილობრივმა კომპანიამ შპს ,,გზამშენი“, რომელმაც სპეციალური ტექნიკით, სტანდარტების გათვალისწინებით მოაწყო ეტლით გადასაადგილებელი ბილიკი სპორტული დარბაზის შესასვლელში“.

პროექტი ,,შეზღუდვების გარეშე“ გულისხმობს ოზურგეთში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას, მათ ჩართვას სპორტულ, საგანმანათლებლო და შემეცნებით საქმიანობებში. პროექტს ახორციელებს ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ,,კრისტალის“ დაფინანსებით.

## გავაფერადოთ სამყარო თბილი ფერებით

4 აპრილს ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლის სამოქალაქო კლუბის წევრებმა ღონისძიება ,,გავაფერადოთ სამყარო თბილი ფერებით“ მოაწყვეს. ინიციატივის ფარგლებში სამოქალაქო განათლების პედაგოგთან, მშობლებთან და სკოლის დირექტორთან ერთად მოსწავლეები ეწვივნენ შემოქმედის ეპარქიასთან არსებულ, ქრისტეფორე გურულის სახელობის ლესის მცირე საოჯახო ტიპის სახლს, სადაც მოეწყო შემოქმედებითი საღამო. საოჯახო სახლის აღსაზრდელებმა და კლუბის წევრმა მოსწავლეებმა მოაწყვეს ხატვის გაკვეთილი, შემდეგ კი შესრულებული ნამუშევრების გამოფენა, ამავე დღეს მოეწყო მხატვრული კითხვა, სხვადასხვა თამაშობები და სპორტული აქტივობები.

ირმა კვაჭანტირაძე, ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლის დირექტორი: ,,თბილი და სიყვარულით სავსე იყო ამ ულამაზესი სახლის ბინადრებთან შეხვედრა. თავიდან ზოგიერთი უფრო მორიდებული იყო, თუმცა, როცა ყველამ ერთად დაიწყეს ნახატებზე მუშაობა, პატარების უხერხულობაც გაქრა და საბოლოოდ დამეგობრდნენ კიდეც.’’

საოჯახო ტიპის სახლს სამოქალაქო კლუბის წევრმა მოსწავლეებმა საჩუქრები გადასცეს მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის ნიშნად.






საინფორმაციო ფურცელი მომზადებულია გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის მიერ სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება PH-International-ის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით. იგი წარმოადგენს პროგრამის საანგარიშო გამოცემას. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაციები არ წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ ინფორმაციას და არ ასახავს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ან აშშ მთავრობის მოსაზრებებსა და პოზიციებს.

გამოცემის ირგვლივ დამატებითი ინფორმაციის მიღებისა და ასევე
თანამშრომლობის მსურველ მოზარდებსა და პედაგოგებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ:
გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი – ოზურგეთი, რუსთაველის ქ. №4, II სართული
ტელ: 0496 27 41 26 / მობილური: 599 156384 / ელ—ფოსტა: GYRC.INFO@GMAIL.COM